მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის სისტემა საქართველოში: არსებული საჭიროებები, საერთაშორისო გამოცდილება და გაუმჯობესების რეკომენდაციები

დოკუმენტი მომზადდა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და მასში მოცემული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის და შვედეთის მთავრობის პოზიციას.

სარჩევი

შესავალი 3

არსებული ვითარება 4

საკანონმდებლო ჩარჩო 5

გამოწვევები 7

მდგრადი განვითარების მიზნების მართვისა და მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმი 7

დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობა 8

საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა 9

ტექნიკური და პროცედურული გამოწვევები 9

საბჭოს სამდივნოს რესურსების ნაკლებობა 10

კერძო სექტორის ჩართულობა 10

საერთაშორისო გამოცდილება 11

შვედეთი 12

ნორვეგია 13

გაერთიანებული სამეფო 13

ფინეთი 13

რეკომენდაციები 14

შესავალი

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დამტკიცების დღიდან საქართველო იმ მოწინავე სახელმწიფოებს შორის არის, რომლებმაც მდგრადი განვითარების მიზნების (SDG – Sustainable Development Goals) ადგილობრივ კონტექსტზე მორგება დაიწყეს. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მაკოორდინირებელ მთავარ დაწესებულებად ეროვნულ დონეზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია განისაზღვრა. 2015 წლის შემდეგ, სწორედ მთავრობის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი, რაც 17 მიზანთან და მასში შემავალ ამოცანებთან დაკავშირებული ყველა საკითხის კოორდინაციას გულისხმობდა.

მდგრადი განვითარების მიზნების წინამორბედ ათასწლეულის განვითარების მიზნებთან (MDG – Millennium Development Goals) დაკავშირებით დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციის გარეშე საქართველოს საჯარო დაწესებულებების პოლიტიკური დღის წესრიგი შესაძლებელია აცდენილი იყოს იმ საერთაშორისო მისწრაფებებს, რომელსაც ქვეყანა შეუერთდა.

ამჟამად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და სხვა პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებებმა უკვე გასწიეს მნიშვნელოვანი ძალისხმევა მდგრადი განვითარების მიზნების საკოორდინაციო მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით. ამ კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის შემუშავებაა, სადაც განსაზღვრულია არა მხოლოდ ამოცანები და ინდიკატორები, არამედ ინფორმაციის წყაროები და პასუხისმგებელი/წამყვანი დაწესებულებები. დოკუმენტმა შესაძლებელი გახადა მიზნების თემატურად დაჯგუფება და მათი ოთხი სამუშაო ჯგუფის მიხედვით გადანაწილება: დემოკრატიული მმართველობა, სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური განვითარება, და მდგრადი ენერგეტიკა და გარემოს დაცვა.

თემატური სამუშაო ჯგუფები მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს მანდატის ფარგლებში მუშაობენ. საბჭო SDG-ის ძირითადი საკოორდინაციო მექანიზმია საქართველოში. მისი შეხვედრა პირველად 2017 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა, სადაც განხილულ იქნა SDG-ის ნაციონალიზაციის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციამ და სხვა დაინტერესებულმა საჯარო დაწესებულებებმა მოკლედ წარმოადგინეს ეროვნულ კონტექსტზე მორგებული მდგრადი განვითარების 17 მიზანი, 169 ამოცანა და 244 ინდიკატორი.

ნაციონალიზაციის პროცესში აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა გაეროს სხვადასხვა სააგენტოსთან, რომლებმაც წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები ნაციონალიზაციის დოკუმენტში მოცემული მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების შესახებ. გაეროსთან და მის სპეციალიზებულ სააგენტოებთან აქტიური თანამშრომლობა სამომავლოდაც

მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან სხვადასხვა ინდიკატორისთვის განსაზღვრულია „მეურვე“ გაეროს სააგენტო.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფების ინსტიტუციური მოწყობა, როლი, რესურსები, მიღწევები და გამოწვევები და წარმოადგინოს რეკომენდაციები და საერთაშორისო გამოცდილება SDG-ის უფრო ეფექტური ეროვნული კოორდინაციისთვის.

შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ერთობლივად განახორციელეს პროექტი – *მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხარდაჭერა საქართველოში*. პროექტის ფარგლებში UNDP და IDFI დაეხმარა მთავრობის ადმინისტრაციას დაინტერესებული მხარეების როლის და შესაძლებლობების გამოკვეთაში, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან და მედიასთან შეხვედრების შედეგად შეიქმნა წარმოდგენა თუ როგორია ცნობიერება SDG-ს შესახებ და რა ცოდნა და რესურსები არსებობს ამ თვალსაზრისით. პროექტმა ხელი შეუწყო დაინტერესებული მხარეების პოტენციური როლის გამოკვეთას საბჭოს მომავალი საქმიანობის ორგანიზებისთვის. ხელი შეუწყო გამოცდილების დაგროვებას, როგორც უწყებათაშორისო კოორდინაციის თვალსაზრისით, ისე სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების როლთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში, რამაც ასევე ხელი შეუწყო სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრას.

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის საბჭოს შექმნა პოზიტიური ნაბიჯია, არსებობს მისი მოწყობის, სამუშაო პროცედურების და უფლებამოსილებების გაუმჯობესების საჭიროება. ამასთანავე, ანალიზის პროცესში გამოიკვეთა საბჭოს სამდივნოს გაძლიერების საჭიროება და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესახებ დამატებითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვის აუცილებლობა. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია SDG-ის მონიტორინგის და კოორდინაციის შესახებ არსებული ვითარება, სხვა სახელმწიფოებში დაგროვილი კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები სისტემის გაუმჯობესებისთვის.

არსებული ვითარება

2015 წელს მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცების შემდეგ[1], საქართველოში მათ კოორდინაციას მთავრობის ადმინისტრაცია ახორციელებდა სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მეშვეობით. 2015-2016 წლებში, მთავრობის ადმინისტრაცია არაფორმალიზებული სამუშაო ჯგუფების მეშვეობით მართავდა მიზნების ნაციონალიზაციის საპილოტე პროექტს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ მთავრობის

[1] United Nations General Assembly Resolution A/RES/70/1 – Transforming our World: the 2030 Agenda for Sustainable Development, 25 September 2015, New York

ადმინისტრაციის კოორდინაციით მოხდა მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების მორგება საქართველოს საჯარო დაწესებულებებთან. სამთავრობო გეგმების და ინოვაციების სამსახურის ხელმძღვანელობით შეიქმნა SDG-ის ეროვნული დოკუმენტის პირველადი ვერსიები, სადაც გაიწერა მონაცემთა წყაროები, პასუხისმგებელი უწყებები და საბაზისო ინდიკატორები.

საკანონმდებლო ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ SDG-ისთან დაკავშირებული ყველა პროცესის კოორდინატორი მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური იყო, 2017 წლამდე არ არსებობდა მაღალი პოლიტიკური წარმომადგენლობის ფორმალური მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა უწყებათაშორისი კოორდინაცია. 2017 წლის 2 მაისს, ცვლილებები შევიდა საქართველოს პრემიერმინისტრის 2016 წლის 3 მაისის №135 ბრძანებაში „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, რის შედეგადაც საბჭოს მანდატს დაემატა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობის უფლებამოსილება. შედეგად, ჩამოყალიბდა საჯარო მმართველობის რეფორმის და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, რომლის მანამდე არსებულ ამოცანებსაც დაემატა:

- საჯარო მმართველობის რეფორმასა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი კოორდინაცია;
- მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის განახლების მიზნების/ინდიკატორების გადახედვისა და გავრცობის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება, დოკუმენტების განახლების კოორდინაცია;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის შესრულების მიმართულებით სამუშაო ჯგუფების შექმნა.

დღეისათვის, 2030 წლის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია საჯარო მმართველობის რეფორმის და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს მანდატით ხორციელდება, რომელიც, საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მიხედვით, ანგარიშვალდებულია საქართველო პრემიერმინისტრის წინაშე.

საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ხოლო სამდივნოს ფუნქციებს ახორციელებს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური. სამდივნოს მიზანია უზრუნველყოს საბჭოს საქმიანობის ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცენტრალური საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების, საჯარო სამსახურის ბიუროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის) წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების მონაწილეობა საბჭოს სხდომებში შესაძლებელია მიწვევით, სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს სხდომები და მის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

სამუშაო ჯგუფების მიზნების, მანდატის და სამუშაო პროცედურების განსაზღვრისთვის მთავრობის ადმინისტრაციის და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავდა ტექნიკური დავალებები (Terms of Reference), სადაც დეტალურად არის გაწერილი ის მიზნები, რაზეც სამუშაო ჯგუფი იმუშავებს. ტექნიკურ დავალებებში ასევე მოცემულია შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, სტრუქტურა და ამოცანები.

ამ დროისთვის არ მომხდარა სამუშაო ჯგუფის ტექნიკური დავალების ფორმალურად დამტკიცება, რაც აუცილებელია ამ დოკუმენტის სტატუსის სამომავლოდ განსაზღვრისთვის. ტექნიკურ დავალებებში ასევე არ არის განსაზღვრული შიდა გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები და სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ჩართვის წესები. მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მოწვევა საჯაროდ იყო გამოქვეყნებული მთავრობის ვებგვერდზე - www.gov.ge და გაეგზავნათ გაეროს სააგენტოებს და მის პარტნიორ ორგანიზაციებს.

ტექნიკური დავალებების მიხედვით, სამუშაო ჯგუფების შეხვედრა უნდა მოხდეს წელიწადში სულ მცირე ორჯერ, ხოლო მის შემადგენლობაში საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების გარდა შედიან სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

მდგრადი განვითარების მიზნების **თემატური სამუშაო ჯგუფების ძირითადი ამოცანებია:**

- მდგრადი განვითარების განსაზღვრული მიზნების ეფექტურ განხორციელების უზრუნველყოფა;
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ძირითადი პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ ინფორმირებული რეკომენდაციების წარდგენა;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორცილების პროცესის ხელშეწყობის მიზნით ცოდნის მექანიზმის გაზიარება;
- მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის უზრუნველყოფა ეროვნული დაგეგმვის სისტემაში: არსებული და დაგეგმილი ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებისა და მიზნების დაკავშირება;

- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ძლიერი პარტნიორობის უზრუნველყოფა და მათი ჩართვა მდგრადი განვითარების მიზნების და 2030 წლის დღის წესრიგის შესახებ გამართულ მნიშვნელოვან დიალოგში;
- მდგრადი განვითარების მიზნების და მათთან დაკავშირებული თემების შესახებ შიდა და გარე კომუნიკაციის მექანიზმების გაფართოება;
- შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული (VNR) მიმოხილვის მომზადების პროცესის ხელმძღვანელობა;
- მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგისა და მომზადების პროცესში ეფექტური მექანიზმის უზრუნველყოფა;
- არსებული და პოტენციური გამოწვევების განსაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების პროცესში;
- მდგრადი განვითარების ამოცანების/ინდიკატორების გადახედვა/განვრცობა და მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის საბჭოსთვის წარდგენა;
- მაჩვენებლებისთვის / ინდიკატორებისთივს შეფასების ცხრილებისა და მეტამონაცემების შემუშავება;
- მონაცემთა შეგროვებაში ხარვეზების განსაზღვრა და პროცესის გაუმჯობესებისთვის ინიციატივების შემუშავება;
- საშუალოვადიანი რაოდენობრივი ინდიკატორების შემუშავება მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (3-5 წლის ვადით);
- მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის საბჭოსთვის ანგარიშის პირდაპირ, რეგულარულად და თანმიმდევრულად წარდგენა;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ საჯარო ანგარიშგების გამჭვირვალე მექანიზმის უზრუნველყოფა.

გამოწვევები

მდგრადი განვითარების მიზნების მართვისა და მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმი

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) თემატური სამუშაო ჯგუფების მანდატი მხოლოდ 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებით შემოიფარგლება, იგივე პრინციპი არ ვრცელდება თავად საბჭოზე. პრემიერმინისტრის ბრძანების მოქმედი რედაქციის მიხედვით, საბჭოს მანდატი ვრცელდება საჯარო მმართველობის რეფორმაზე და მდგრადი განვითარების მიზნებზე, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს მათ შინაარსობრივ თავსებადობაზე. საჯარო მმართველობის რეფორმა ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია

დემოკრატიული მმართველობის განმტკიცებისთვის, თუმცა ის საკითხების გაცილებით უფრო ვიწრო ჩამონათვალს ფარავს ვიდრე მდგრადი განვითარების მიზნები. შინაარსობრივი თვალსაზრისით, საჯარო მმართველობის რეფორმის ამოცანები SDG-ის ერთ-ერთი ამოცანის მოცულობისაა, რაც ამ ორი საკითხის ერთი საბჭოს ქვეშ დაჯგუფებას არარაციონალურს ხდის. პრაქტიკაში მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს და საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს შეკრება ცალ-ცალკე ხდება, რაც ასევე ასახულია სამუშაო ჯგუფების ტექნიკურ დავალებაში. ამის გათვალისწინებით კარგი პრაქტიკა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმალური შინაარსი აცდენილია ერთმანეთს.

გაურკვევლობას წარმოშობს პრემიერმინისტრის ბრძანებას და სამუშაო ჯგუფის ტექნიკურ დავალებას შორის არსებული ტერმინოლოგიური განსხვავება. ბრძანებაში საბჭოს დასახელებად მოცემულია „საჯარო მმართველობის რეფორმის და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო“, ხოლო ტექნიკურ დავალებაში საბჭოს სახელწოდებად განსაზღვრულია „მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის საბჭო“. დასახელებებს შორის არსებული განსხვავება გაურკვევლობას წარმოშობს და სამომავლოდ აუცილებელია ერთიანი დასახელების განსაზღვრა.

დაინტერესებული მხარეების არასათანადო ჩართულობა

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საბჭოს საქმიანობაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობა, მათი სტატუსი ფორმალურად არ არის განსაზღვრული და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის და აკადემიური წრეების მონაწილეობა შესაძლებელია სათათბირო ხმის უფლების გარეშე. ასეთი პროცედურული მოწყობა მომავალში ხელს შეუშლის დაინტერესებული მხარეების ეფექტურ ჩართულობას და მათთვის არ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საბჭოს დებულებაში და სამუშაო ჯგუფების ტექნიკურ დავალებაში არ არის განსაზღვრული ის პროცედურები და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა, რაც მათი შემთხვევითი შერჩევის შესაძლებლობას იძლევა.

არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, საბჭოს საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლება და არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო, სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის შესაძლებლობა. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება ეროვნული მისწრაფებაა და ამ პროცესში მონაწილეობა თანაბრად უნდა იყოს შესაძლებელი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის საკანონმდებლო, სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ამჟამად, არ არსებობს მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც თემატურად შეიძლება მოხდეს ხელისუფლების დანარჩენი შტოების ინტეგრირება.

საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

საბჭოს ეფექტურობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი საქმიანობის გამჭვირვალობა. დებულების მოქმედ რედაქციაში არ არის გათვალისწინებული საბჭოს დღის წესრიგის წინასწარი გამოქვეყნების ვალდებულება, რაც ზღუდავს დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობას წინასწარ გაეცნონ საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებს. ამასთანავე, დებულების ამომწურავობის მიუხედავად, არ არის გათვალისწინებული საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნების ვალდებულება, ხოლო 2017 წლის 24 ოქტომბერს გამართული საბჭოს პირველი სხდომის ოქმი ამჟამად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებაში მდგრადი განვითარების მიზნებზე მომუშავე პირების საკონტაქტო ინფორმაციის საჯაროდ განთავსება, რათა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ პასუხების მიზნებთან დაკავშირებულ სპეციფიურ საკითხებზე.

SDG-ისთან დაკავშირებული საკითხების საჯაროობის პრაქტიკული გაუმჯობესება მას შემდეგაა მოსალოდნელი, რაც ამოქმედდება ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ყველასთვის ხელმისაწვდომი საჯარო გვერდის არსებობას. ვებგვერდის არსებობა ხელს შეუწყობს მეტ ინფორმირებულობასა და ღიაობას, მათ შორის გაადვილებულ წვდომას საბჭოს დღის წესრიგის, ოქმების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიმართ.

ტექნიკური და პროცედურული გამოწვევები

დებულების მიხედვით, საბჭოს სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ, ხოლო სამუშაო ჯგუფების შეხვედრები იმართება წელიწადში სულ მცირე ორჯერ. იმის გათვალისწინებით, რომ მიზნების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება წელიწადში ერთხელ არის დაგეგმილი, მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისთვის სამ თვეში ერთხელ შეკრება ზედმეტად ინტენსიური ვალდებულებაა. მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფორმატიდან გამომდინარე, არ არსებობს ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის ასეთი ხშირი შეკრების აუცილებლობა და შესაძლებელია მიმდინარე საკითხების სამუშაო ჯგუფის ფორმატში გადაწყვეტა.

SDG-ის კოორდინაციის და მონიტორინგის ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია თემატური სამუშაო ჯგუფების გამართული ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს პირველი სხდომა 2017 წლის ოქტომბერში გაიმართა, ამ დრომდე არ გამართულა თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, რაც მთავრობის ადმინისტრაციისთვის ტექნიკური დახმარების მეორე ფაზის ფარგლებში 2018 წელს არის გათვალისწინებული.[2] ამასთანავე, ფორმალურად არ არის დამტკიცებული სამუშაო ჯგუფების ტექნიკური დავალებები. სასურველია, სამუშაო ჯგუფების ტექნიკური

[2] სამუშაო ჯგუფებში დაინტერესებული მხარეების რეგისტრაციისთვის მთავრობის ვებგვერდზე მოცემული იყო შესაბამისი განცხადება, სადაც ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდათ დარეგისტრირებულიყვნენ 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დავალებების დამტკიცება საბჭოს დებულების მსგავსად მოხდეს ნორმატიული აქტის საშუალებით, რაც პროცედურების და სტრუქტურის მკაცრად განსაზღვრას შეუწყობს ხელს. ტექნიკურ დავალებებში მოცემულია სამუშაო ჯგუფის მრავალფეროვანი ამოცანები, რომელთა შესრულებისთვისაც აუცილებელია დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმის არსებობა. ამჟამად, ტექნიკურ დავალებაში არ არის გათვალისწინებული ასეთი სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება, რაც სამომავლო გაუმჯობესებისთვის შესაძლოა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყოს. შიდა სამოქმედო გეგმით შესაძლებელია განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომელსაც თემატური სამუშაო ჯგუფი წლის განმავლობაში განახორციელებს. ამასთანავე, შესაძლებელია ამ სამოქმედო დოკუმენტების საბჭოს მიერ დამტკიცება და მათ შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა.

ვინაიდან ანგარიშგება საბჭოს და თემატური სამუშაო ჯგუფების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, აუცილებელია მონიტორინგის ინსტრუმენტების გამართული ფუნქციონირება. დაგეგმილი ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (EMS) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოს სამდივნოს მონიტორინგის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებელია მონიტორინგის კუთხით დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, საბჭოს მიერ ფორმალურად უნდა დამტკიცდეს საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ფორმის საჯარო კონსულტაციების შედეგად დამტკიცება და ამ ანგარიშის წარდგენამდე „ალტერნატიული“ ანგარიშის (shadow report) შემუშავება. SDG-ის განხორციელების ჩრდილოვანი ანგარიში დამოუკიდებელი კონსულტანტის / ორგანიზაციის მიერ უნდა შემუშავდეს და დეტალურად უნდა აღწერდეს იმ მიღწევებს და გამოწვევებს, რომლებიც VNR-ის ფორმალურ გაგზავნამდე უნდა გაანალიზდეს.

საბჭოს სამდივნოს რესურსების ნაკლებობა

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს სამდივნოდ განსაზღვრულია მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური, მისი ამჟამინდელი რესურსები არ არის საკმარისი საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფების ეფექტურად მხარდასაჭერად.

ამჟამად, აღნიშნულ სამსახურში დასაქმებულია მხოლოდ 3 ადამიანი, რომელთაგან ერთ-ერთი არის საბჭოს მდივანი, მეორე არის მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, ხოლო მესამე ახორციელებს მხოლოდ საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას. აუცილებელია სამდივნოში ასევე არსებობდეს მონაცემებთან მუშაობის სპეციალისტი, რომელიც სამომავლო და საბაზისო ინდიკატორების შემუშავებას შეუწყობს ხელს. ამ სამსახურის რესურსების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება საბჭოს სხდომების და სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრების მხარდაჭერა.

კერძო სექტორის ჩართულობა

ცნობიერების კამპანიის ფარგლებში IDFI-ისა და მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად ჩატარებულმა ღონისძიებებმა ცხადყო, რომ კერძო კომპანიები და ბიზნეს ასოციაციები არ არიან სათანადოდ ინფორმირებული მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების და ამ პროცესში მათი როლის შესახებ. კერძო კომპანიების ჩართვა

თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში ცალსახად პოზიტიური და აუცილებელი ნაბიჯი იყო, თუმცა ასევე აუცილებელია მათი როლის გაზრდა ეროვნული ანგარიშგების პროცესში. მაგალითად, წინა ეროვნულ ნებაყოფლობით მიმოხილვაში არ ყოფილა ნახსენები ის ღონისძიებები, რომლებსაც კერძო კომპანიები SDG-ის ამოცანების მისაღწევად ახორციელებენ. სამომავლოდ, აუცილებელია კერძო კომპანიებისთვის სპეციალური ანგარიშგების ფორმატის შექმნა და მის შედეგად მიღებული ინფორმაციის კონსოლიდაცია VNR-ში.

გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფების და საბჭოს სამდივნოს მიერ სასურველია შემუშავდეს ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო კომპანიების გააქტიურებას SDG-ის იმპლემენტაციის ნაწილში. ასეთი ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ისე თვითშეფასების კითხვარებს და ა.შ.

საერთაშორისო გამოცდილება

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის გარდაქმნა ეროვნულ კონტექსტში მნიშვნელოვანი პროცესია სხვადასხვა სახელმწიფოსთვის. ვინაიდან მდგრადი განვითარების მიზნები 2015 წელს ჩამოყალიბდა, არ არსებობს მათი მართვის და კოორდინაციის უნივერსალურად ჩამოყალიბებული პრინციპები. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნები აქტიურად მუშაობენ SDG-ის მართვის და კოორდინაციის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებაზე. ქვეთავში განხილულია SDG-ის საკოორდინაციო მექანიზმების რამდენიმე საინტერესო მაგალითი.

UNDP-ს საკოორდინაციო მექანიზმების გზამკვლევი

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2017 წელს შემუშავდა ინსტიტუციური და საკოორდინაციო მექანიზმების გზამკვლევი, სადაც მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები კოორდინაციის გამართვის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის და ანგარიშგების შესახებ. გზამკვლევში დეტალურად არის განხილული საერთო გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელიც არსებობს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის თვალსაზრისით. მაგალითად, დოკუმენტში მოყვანილია კონკრეტული შეთავაზებები სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობის თვალსაზრისით.

გზამკვლევში ასევე მოცემულია ის კითხვები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს SDG-ს ვერტიკალური და ჰორიზონტალური საკოორდინაციო ინსტიტუციური ჩარჩოს შეფასება. მაგალითად, თვითშეფასების შეკითხვები მოიცავს ისეთ პუნქტებს, როგორებიც არის ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის ხარისხი, რესურსები, ცნობიერება, საკოორდინაციო მექანიზმის მანდატი და ა.შ.

დოკუმენტის ერთ-ერთი თავი მიმოიხილავს მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის მექანიზმებსაც და ამ კუთხით დაგროვილ გამოცდილებას. მონიტორინგის თვალსაზრისით საინტერესო გამოცდილება ეხება SDG-ს შესრულების მონიტორინგს მუნიციპალურ დონეზე. მაგალითად, ფილიპინების შინაგან საქმეთა და ადგილობრივი

თვითმმართველობის სამინისტრო ახორციელებს ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგს და მისი შედეგების სპეციალურ ანგარიშის ფორმაში კონსოლიდაციას. SDG-ს ადდგილობრივ დონეზე შესრულების მონიტორინგი მნიშვნელოვან გამოცდილებას წარმოადგენს, რადგან განვითარებული სახელმწიფოების დიდ ნაწილში ეკონომიკური, სოციალური და მმართველობითი მიმართულებები დელეგირებულია ადგილობრივ დონეზე და იმისათვის რომ მიზნების შესრულების სრული სურათი შეიქმნას საჭიროა მუნიციპალური განზომილების ანალიზიც.

ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების მიზნით, გზამკვლევში მოყვანილია რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელთა არსებობაც მნიშვნელოვანი საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის:

- ადეკვატური და მოქნილი ინსტიტუციური საფუძვლები;
- ინსტიტუციური კოორდინაციის და განხორციელების მექანიზმები;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის და კოლექტიური საკუთრების მექანიზმები;
- მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები.

გზამკვლევში საინტერესო გამოცდილება არის მოყვანილი გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიებების შესახებ. მაგალითისათვის, განხილულია იმის შესაძლებლობა, რომ საკოორდინაციო მექანიზმებში (საბჭოებში და სამუშაო ჯგუფებში) წახალისებული იყოს ქალთა მაღალი წარმომადგენლობა, რაც საქართველოს შემთხვევაშიც შესაძლოა საინტერესო პრაქტიკა იყოს. ამასთანავე, გზამკვლევში საუბარია გენდერული ასპექტით ბიუჯეტის და ღონისძიებების ანალიზზე, რაც SDG-ს ღონისძიებების ბიუჯეტირების კუთხით შესაძლოა სასარგებლო პრაქტიკა იყოს.

შვედეთი

შვედეთში მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე კოორდინაციას შვედეთის საჯარო მმართველობის სამინისტრო და საერთაშორისო განვითარების კოორდინაციის სამინისტრო ახორციელებენ, თუმცა ამ პროცესში წამყვანი როლის შესრულებისთვის მთავრობამ 2030 წლის დღის წესრიგის დელეგაცია შექმნა, რომლის ძირითადი ამოცანაც მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შეფასება და რეკომენდაციების წარდგენაა.

დელეგაცია საინტერესო მისი შემადგენლობის თვალსაზრისით არის, რადგან მასში გადაწყვეტილებების მიმღები პირები საჯარო სექტორთან ერთად, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან. უფრო მეტიც, დელეგაციას ხელმძღვანელობს კერძო სექტორის წარმომადგენელი, რაც ამ პროცესში ბიზნეს სექტორის წამყვან როლზე მეტყველებს. დელეგაცია არის დამოუკიდებელი კომისია, რომელიც 7 წევრისგან შედგება. სამდივნოს მეშვეობით მას სხვადასხვა დაწესებულება უჭერს მხარს, იმის გათვალისწინებით თუ რომელი თემატური მიმართულებით არის დაინტერესებული დელეგაცია. სამდივნო და პასუხისმგებელი უწყებები აწვდიან დელეგაციას ინფორმაციას ინდიკატორების და კონკრეტული პოლიტიკის მიმართულებების შესახებ.[3]

[3] https://agenda2030delegationen.se/english/

2030 წლის დღის წესრიგის დელეგაციის საქმიანობაში კიდევ ერთი საინტერესო პრაქტიკა სამოქმედო გეგმის შემუშავებაა. მრავალწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომელიც დელეგაციამ ყოველწლიურად უნდა განახორციელოს.

ნორვეგია

ნორვეგიის შემთხვევაში საინტერესოა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საბიუჯეტო ანგარიშგების პრაქტიკა. თითოეული მიზნის შესრულების ვალდებულება ნორვეგიაში სხვადასხვა სამინისტროზეა გადანაწილებული, რომელთა კოორდინაციასაც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს. ნორვეგიაში საჯარო დაწესებულებები ყოველწლიურად წარადგენენ SDG-ის ფინანსური შესრულების ანგარიშს, რომელიც თან ახლავს უწყების მიერ წარდგენილ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

ნორვეგიის შემთხვევაში ასევე საინტერესოა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების საპარლამენტო ზედამხედველობა. ყოველწლიურად, ნორვეგიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (Samediggi) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად განიხილავს იმ ღონისძიებებს, რომელიც სხვადასხვა პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებამ SDG-ის შესრულების კუთხით განახორციელა.[4]

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში დამკვიდრებული საინტერესო პრაქტიკა SDG-ის შესახებ ანგარიშგებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაციას საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFID) ახორციელებს, მიზნების შესრულების შესახებ ანგარიშგებას სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი (ONS) აწარმოებს, რომელიც ზომავს გაერთანებული სამეფოს მიერ თითოეული სამიზნე ინდიკატორის შესრულებას.

გაერთიანებულ სამეფოში SDG-ის მართვის და კოორდინაციის სისტემა დეცენტრალიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მიზნის შესრულება ინტეგრირებულია ცალკეული უწყების პოლიტიკის დოკუმენტში (SDP – Single Departmental Plan). თითოეული SDP-ის მონიტორინგს გაერთიანებული სამეფოს მინისტრთა კაბინეტი ცალ-ცალკე აწარმოებს და წარუდგენს ანგარიშს პარლამენტს.[5]

ფინეთი

SDG-ის კოორდინაციის ფინური მოდელი მნიშვნელოვნად ჰგავს საქართველოში არსებულ ინსტიტუციურ მოწყობას. 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ დონეზე კოორდინაცია ფინეთის პრემიერმინისტრის ოფისის მანდატით ხორციელდება, სადაც შექმნილია კოორდინაციის სამდივნო, რომელიც SDG-ისთან დაკავშირებული პროცესების მართვით არის

[4] https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21439Norway.pdf
[5] https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/603500/Agenda-2030-Report4.pdf

დაკავებული. აღნიშნული სამდივნო ახორციელებს მდგრადი განვითარების ეროვნული კომისიის მხარდაჭერას, რომელიც SDG-ის კოორდინაციის უწყებათაშორის მექანიზმს წარმოადგენს.

ფინეთში დამკვიდრებული საინტერესო პრაქტიკა შეეხება ინდიკატორების ჩამოყალიბების სამუშაო ჯგუფის შექმნას. სამუშაო ჯგუფი შედგება შესაბამისი საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებისგან და მიზნად ისახავს მდგრადი, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული ინდიკატორების შემუშავებას. საქართველოს შემთხვევაში, ინდიკატორების შემუშავებაზე შესაძლებელია არსებულმა თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა იმუშაონ, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება მონაცემების დამუშავების სპეციალისტების აქტიური ჩართულობა.[6]

რეკომენდაციები

საქართველომ უკვე მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე ინტეგრირებისთვის, რაც, პირველ რიგში, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის შემუშავებაში გამოიხატება. ამასთან, 2016 და 2017 წლები მნიშვნელოვანი იყო მიზნების კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს და მისი თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ სამომავლოდ განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვანი იქნება 2030 წლის დღის წესრიგის წარმატებით შესრულებისთვის.

მიუხედავად ამისა, არსებობს როგორც პროცესის ისე ინსტიტუციურ ჩარჩოსთან დაკავშირებული გარკვეული გამოწვევები, რომელთა დასაძლევადაც IDFI შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

ინსტიტუციური მოწყობა და ტექნიკური მხარე

- საჯარო მმართველობის რეფორმის და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს გამიჯვნა საკანონმდებლო დონეზე;
- სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლების როლის გაზრდა საბჭოს საქმიანობაში და მათთვის სათათბირო ხმის უფლების მინიჭება;
- საკანონმდებლო, სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების SDG-ს კოორდინაციის პროცესში ინტეგრირებისთვის თემატური სამუშაო შეხვედრების და მუდმივმოქმედი დიალოგის მექანიზმის შექმნა.
- საბჭოს სამდივნოს რესურსების გაძლიერება, მათ შორის ადამიანური რესურსების დამატების გზით;
- თემატურ სამუშაო ჯგუფებში ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების ვალდებულების დამატება ტექნიკურ დავალებებში.

[6] https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/10611Finland_VNR.pdf

საბჭოს/სამუშაო ჯგუფების საქმიანობის გამჭვირვალობა და პერიოდულობა

- მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს გამჭვირვალობის გაზრდა დღის წესრიგის, სხდომის ოქმების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნების გზით;
- საბჭოს სხდომების პერიოდულობის ცვლილება და წელიწადში 2 სხდომის განსაზღვრა;
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრების პერიოდულობის გაზრდა (წელიწადში სულ მცირე 4 შეხვედრა);
- მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადების პრაქტიკის დანერგვა;

საკოორდინაციო პროცესში ჩართულობა

- კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, მათ შორის VNR-ში კერძო სექტორის შესახებ ცალკე ქვეთავის დამატების გზით;
- სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების დამატებითი გაუმჯობესება სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით და ეროვნული და მუნიციპალური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა საბჭოს და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში;

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული ინსტიტუციური მექანიზმების გზამკვლევის ქართულ ენაზე თარგმნა და მისი გამოყენება საბჭოს და სამუშაო ჯგუფების სამომავლო გარდაქმნის დროს;
- საბჭოს და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში გენდერული ასპექტების განხილვა და საბჭოს შემადგენლობაში ქალ წარმომადგენელთა მონაწილეობის სტიმულირება;
- SDG-ს განხორციელების შესახებ საპარლამენტო ანგარიშგების ფორმატის შექმნის შესაძლებლობის განხილვა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებში;
- SDG-ს იმპლემენტაციის შეფასება ინდიკატორის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული საბიუჯეტო დანახარჯების მიხედვით;
- საქართველოს პარლამენტისთვის SDG-ს მრჩეველთა საბჭოს შექმნის შეთავაზება;
- აკადემიური და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლობის გაზრდა, ასოციაციების და პროფკავშირების ხელმძღვანელი პირების საბჭოს საქმიანობაში ჩართვის გზით;
- ინდიკატორების განსაზღვრისთვის და მოდიფიკაციისთვის ცალკე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და მისი მხარდაჭერა მონაცემთა დამუშავების ექსპერტის/სპეციალისტის მიერ.
- ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგი და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვა SDG-ს საკოორდინაციო პროცესში.